452

№ 366. კვირა, 9 ნოემბერი. 1896–1897 კვირა, 9 ნოემბერი, № 366.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე
საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის
საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება
ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

მარიამ ივანეს ასული კერესელიძისა და ევგენი იოსების ძე კერესელიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

მათე იოსების ძე კერესელიძისა

გარდახდილ იქმნება ქვაშვეთის ეკკლესიაში კვირას, 9 ნოემბერს, დილის $10^1/_2$ საათზედ. (1—1)

ქართული თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს
ქართულ დრამატიულ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

დრამა 5 მოქმ. და 7 სურ. დ. ერისთავისა

მოქმედნი პირნი:

სვიმონ ლეონიძე		ბ. გამყრელიძე.
ქეთევან, ამისი ცოლი		ქ. კარგარელი.
ლევან ხიმშიაშვილი		ბ. სვიმონიძე
გოგია დიაკვანი		ბ. მესხი
ესტატე	თავადნი	ბ. კორინთელი
როინ		ბ. იმნაძე
ზაზა		ბ. კავთელი
თავადი დადიანი		ბ. შათირიშვილი
შაჰი აბასსი		ბ. აბაშიძე.
ფიხოშ, ამისი შვილი		ქ. გარელი.
ისრაფილ	შაჰის მხლებელნი	ბ. კანდელაკი
იმაილ		ბ. ადამიძე
ალავერდი		ბ. საფაროვი.
გლეხის დედაკაცი		ქ. ჩერქეზიშვილისა.
ჯაშუში		ბ. კარიელი.

თავად-აზნაურნი, გლეხები, შაჰის მხლებელნი და სხვა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი კ. მესხი

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და სხვა სისქისა და განისა.

ფასი მასალებისა მეტად იაფია

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе*, ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—238)

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი

თავ. ნიკოლოზ ესტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლგის ქ., მაკაროვის მამულში

იყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ფიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.

ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тарханъ-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)

ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—28)

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხაჩატუროვის სახ. № 146.

ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონზე)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловск. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержаніемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ.
(150—29)

НАИЛУЧШІЙ ПОДАРОКЪ ДЛЯ САМОГО СЕБЯ
Цѣна 1 шт. 2 р.
2 шт. 3 р. 75 к.
ШТЕМП
ПОРТМОНЭ со ШТЕМПЕЛЕМЪ
(15—10)

საუკეთესო საფულე (პორტმონე) მშვენიერის ტყავიდან (აპოიკიდან) 5 განყოფილებით, 1 განყოფილება ვერცხლის ფულისათვის და ერთიც კერძოდ ოქროსათვის დასაკეტი ღილით.

ამავე საფულეს აქვს გაწყობილი კაუჩუკის ბეჭედი თავის წამლებით და სხვა მოწყობილობით.

ბეჭედში შეიძლება მოთავსდეს სახელი, მამის სახელი, გვარი და წოდება, ვინც-კი მოისურვებს. ზომა აქვს $2^1/_4 \times 1^3/_4$ ვერშოკი.

აგრეთვე იყიდება ქალებისათვისაც კოხტა, ლამაზი და მშვენიერი ზომით $1^3/_4 \times 1^1/_2$ ვერ. იმავე ფასში.

ამგვარივე საფულეები, ხოლო უკეთეს მასალიდან შაგრენის და ტიულენის ტყავიდან 50 კ. ძვირია.

ფასები გაგზავნით ყველგან რუსეთის იმპერიაში ერთის 2 მან., წყვილისა 3 მან. 75 კაპ.

გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

Требованія прошу адресовать
Въ контору фабрики америк. каучук. штемпелей
М. ФИШМАНЪ
ВАРШАВА
Бѣлянская 18
Просятъ ссылаться на настоящее изданіе

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექიმი ქალი **რუდენკო** $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და უცრის ყვავილს.

ფ. ი. ბაბანასიანცი. დილის $11^1/_2$—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.

ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.

ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. გ. გურკო. დღით $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანცი 6—$6^1/_2$ ს.

ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ. და ზედაკანის ავად.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნაველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, ქალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

დაიბეჭდა და იყიდება
გრიგოლ განმანათლებელის
მიერ ანგელოზის ხილვა
და მისგან გამოკითხვა
შედგენილი და გამოცემული გასილ ქ. ქორჩილავას მიერ
ვინც ამ წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ბათომში, დაეთმობა 30%. (30—2)

დეპეშები

კაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
7 ნოემბერი

ბელგრადი. ლიუბომირ ხრისტიჩი, რომელიც აქნობამდე მილან ობრენოვიჩისადიუტანტად იყო, დანიშნულ იქმნა სამხედრო აგენტად პეტერბურგში.

სტამბოლი. მოლაპარაკება და თათბირი ზავის შესახებ კარგად მიდის. გუშინდელ კრებაზე ბევრი იმეცადინეს საქმის ერთხმივი გადასაწყვეტად მეცხრე მუხლის შესახებ.

პარიზი. გენერალ ბუადეფრიმ დაატუსაღა თავისი ადიუტანტი ჰოფენ სენ-მორელი ოცდა ათის დღით იმის გულისათვის, რომ ამ უკანასკნელს, თურმე, ჟურნალისტისათვის გადაუცია ზოგიერთი ცნობა დრეიფუსის შესახებ. ჰოფენს გადაუცია როშფორისათვის, რომ სამხედრო მინისტრს საჭირო საბუთები აქვს მაიორი ესტერგ აზის უდანაშაულობის დასამტკიცებლადო. საპყრობილეს ზედამხედველმა ფორსინეტიმ, რომელიც დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობისაგან დრეიფუსის საქმის გამო, როშფორის ხმალში გამოწვევა მოინდომა, მაგრამ სამხედრო მინისტრმა ნება არ დართო, ასე რომ ფორსინეთი ეხლა როშფორს უჩივის სასამართლოში.

არაგა. ბროსბორის სადგურზე საბარგო მატარებელი შეეჯრა სამგზავრო ვაგონებს და ოთხი სულ ერთიანად დაამსხვრია, 5 კაცი მძიმედ არის დაჭრილი, 9 სუბუქად.

* * *

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამოსამართლო უწყება. ჩარიცხულ იქმნა კანცელარიის მოხელედ ტფილისის ოლქის სასამართლოში მღვდლის შვილი მიხეილ ხორბალაძე და განწესებულ იქმნა ტფილისის მაზრის მომრიგებელ სასამართლოში.

ადმინისტრაცია. დანიშნულ იქმნა: ტიტულიარნი სოვეტნიკი კვალიაშვილი—გორის ნაწილის ბოქაულად, ბორჩალოს მაზრაში.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულს ტეატრში წარმოადგენენ ცნობილს პიესას «სამშობლოს.»

⁂ **მათე კერესელიძის პანაშვიდი.** დღეს მათე კერესელიძის გარდაცვალების წლის თავზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალებულის სულის მოსახსენებლად დილის $10^{1}/_{2}$ საათზე.

⁂ **სახალხო ქართულ წარმოდგენის გადადება.** დღეს ავჭალის უფასო სამკითხველოში ქართული წარმოდგენა უნდა გამართულიყო, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო ეს წარმოდგენა სხვა დღისთვის გადასდეს.

⁂ **ყვავილის ამცრელნი ტფილისის გუბერნიაში.** ტფილისის გუბერნიისათვის დანიშნეს 27 ამცრელი ყვავილისა: ტფილისის, გორის და ბორჩალოს მაზრებში—თითოეულში ოთხი, სიღნაღისა და თიონეთის მაზრაში—თითოეულში სამი; ახალქალაქის, ახალციხის და თელავის მაზრებში—თითოეულში ორი ყვავილის ამცრელი.

⁂ **„საავადმყოფოთა ბაჟი“ ქ. ტფილისში.** ქალაქის თვითმმართველობის საფინანსო კომისიამ განიხილა გამგეობის მოხსენება „საავადმყოფოთა ბაჟის“ შესახებ და დაეთანხმა გამგეობის აზრს. ეხლა საბჭომ უნდა დასდოს თავისი განაჩენი.

⁂ **ცნობილის შაუმოვის საქმე.** ქალაქის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს შემდეგი გადუწყვეტია შაუმოვის საქმის გამო, რომელსაც ყალბის გირების ხმარება ბრალდება: რადგან ეგ საქმე მომრიგებელ მოსამართლეს არ ექვემდებარება—გარდაეცეს მთელი საქმის წარმოება და შაუმოვის ყალბი გირები ოლქის სასამართლოსა.

⁂ **ავაზაკობის გამო.** ამ ჟამად სხვა-და-სხვა მოხელენი და კერძო პირნი მთავრობასა სთხოვენ, დაურიგდეს მათ სახაზინო თოფები და სხვა იარაღი ავაზაკების შესაპყრობათ და თავის დასაფარავად. ამის გამო განკარგულება მოუხდენიათ, პოლიციამ ბეჯითი ყურადღება იქონიოს, რომ სახაზინო იარაღი მხოლოდ იმათ ატარონ, ვისაც ნება აქვს მიცემული; ამისათვის, პოლიციაში მუდამ უნდა ჰქონდეთ ცნობები იმის შესახებ, თუ ვის რა იარაღის ტარების უფლება აქვს აღებული.

⁂ **საქონლის ჭირი.** საქონლის ჭირის წინააღმდეგ სასტიკს ზომებსა ხმარობს გუბერნიის მთავრობა: ამ ჟამად 7 ბეითალი გაგზავნეს გორის მაზრაში და იჟაურს მაზრის სამმართველოს 7 ახალი მოხელე მოუმატეს საგანგებოდ ამ საქმისათვის. გარდა ამისა, გორის მაზრის უფროსს 1000 მან. მიეცა იმ ფულებიდამ, რომელიც თიონეთის მაზრისათვის იყო დანიშნული საქონლის ჭირის მოსასპობად.

⁂ **ღორების გაგზავნ-გამოგზავნა რკინის გზით.** რამდენსამე პირს შუამდგომლობა დაუწყვიათ გზათა სამინისტროს წინაშე, რომ რკინის გზით ღორების გასაგზავნ-გამოსაგზავნათ გამართონ საგანგებო ვაგონები.

⁂ **რკინის გზ-ს უფროსის განკარგულება.** რადგან ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში ღრმა თოვლი ძევს და წვიმებიც გახშირდა, ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ გზის მეთვალყურეებმა ბეჯითად და მუდამ თვალ-ყური ადევნონ გზის ლიანდაგის მდგომარეობას, ხოლო განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ხიდებსა და ბოგირებს და, თუ ვინიცობაა, რამ ნაკლი შეამჩნიეს, მაშინვე შესაფერი ზომები მიიღონ შესაკეთებლად, რომ მატარებელთა მიმოსვლას დაბრკოლება არ მიეცეს.

რა თქმა უნდა, კეთილი და გონიერი განკარგულებაა, მაგრამ, თუ არ ვცდებით, წასრულს წლებშიაც იყო ესეთი „განკარგულება“. მაგრამ გზა მაინც მუდამ საშიშს მდგომარეობაში იყო ვნახოთ, წელს რა იქმნება!..

⁂ **შეღავათი ბეგარის გადახდაში.** შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სოფ. აწყურსა და ზემო-ხოდაშენის (თელავის მაზრა) მკვიდრთ შეღავათი მიეცესთ სახელმწიფო ბეგარების გადახდაში.

⁂ **გაზეთის იჯარით გაცემა.** გაზ. „კასპი“-ს გამომცემელს გაჯი-ზეინალ-აბდინ-ტაგიევს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს მამედ-ბეგ შაჰტახტიანსკისთან, რომელსაც სურს გაზ. „კასპი“-ს გამოცემა იჯარით აიღოს.

⁂ **დ. ზესტაფონი** (იმერეთი). **გაზეთის მოამბის თავ-გადასავლის გამო.** „ივერიის“ 213 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნის «ტელეფონის» იმაზე, თუ რა რიგ დევნულნი არიან კორესპონდენტები სიმართლის თქმისათვის. არა მარტო ბ-ნი ტელეფონი, ზესტაფონის მოამბენიც ასეთს დღეში ვართ. არ მახსოვს, რომელ ნომერში იყო, „ივერიაში“ ვსჩიოდი, რომ შუა ბაზარში, სადაც ეხლა ახალი ეკკლესია შენდება, ისეთი ტბა და ტლაპო დგას, რომ ბედაურიც ვერ გაატანსმეთქი. დაიბეჭდა ეს წერილი თუ არა, მაშინვე ჩემს ძებნას შეუდგნენ. მიქელაიშვილის და დარჩიას ძებნას ისე გულ-მოდგინედ რომ შესდგომოდნენ, ვგონებ, ერთს კვირაშიაც დაეჭირათ... მადლობა ღმერთს, რომ ვერ მიპოვეს, თორემ ვინ იცის, რას არ მიპირებდნენ! ეხლა ვიკითხოთ—რა უქნეს იმ ტბას? რა და, თუ ადრე მუხლებამდე სწვდებოდა კაცს, ეხლა კისრამდე სწვდება! მაგრამ ყურადღებას-კი მაინც არავინ აქცევს. ჩვენი ყარაულები ხომ სხვას არას აკეთებენ, მხოლოდ იმას ადევნებენ თვალ-ყურს, ვინ რას სწერს და ვინ რა შენიშვნას გზავნის გაზეთ'შიო. მთვრალმა ხალხმა რომ მთლად დაამტვრიოს აქაურობა, კაცი ხმას არ გასცემს. ან როგორ გაბედავს, როდესაც ყველას ეშინიან თავიანთის „ტყავისა“. მათი უფროსები სხედან თავიანთვის ოთახში „თბილად და ტკბილად“ და სტატისტიკურს ცნობებს ჰკრებენ ყარაულების შემწეობით: ვინ რასა სწერს გაზეთში და ვინ რა გვიკიჟინაო, რომ მათთვის ღირსეული სასჯელი გამოიგონონ... წარმოიდგინეთ, ერთს ვაჟბატონს ესეც-კი უბრძანებია, რომ „უმჯობესია, თავი დაგვანებონ, თორემ რომელსაც ჩავიგდებთ ბრჭყალებში, ციმბირი აქეთ დარჩებაო“... ეხლა ამის გამგონეთ სხვა რაღა დაგვრჩენია, თუ მუცელში ენა არ ჩავიგდეთ და ყველას ურიგო ქცევაზე ვაშა და ბარაქალა არ მივაძახეთ... მეტი-ღა ბედნიერება იქნება!?. თუ ისინი მაძღარ-გამთბარნი დარჩნენ, ჩვენს ბედს ხომ ძაღლიც არ დაჰყეფს!..

მე მარტო ზესტაფონელი მოამბე მეგონა ასეთს დღეში, მაგრამ, როგორც სჩანს ბ-ნის ტელეფონის წერილიდამ, სხვაც ყოფილა და ვინ იცის, იქნება ყველა დაბა-ქალაქის პირუთვნელი და მართალი მოამბე ჩვენს ტაფაში იწვის!

თავისუფალი

⁂ **დ. სამტრედია** (იმერეთი). **უბედურება რკინის გზაზედ.** 20 ღვინობისთვეს, ღამის 11 საათზედ, სადგურიდან რამდენსამე საჟენის სიშორეზედ დისკასთან ნახეს მკვდარი ნ. ფირცხალავა, საზარლათ დაჩეჩქვილი მატარებლისაგან.

— **ხიდის უქონლობა.** სადგურიდან ერთის ვერსის მანძილზედ არის ერთი ჩანგრეული ხიდი. ეს ხიდი წელიწადში სამჯერ, ან ორჯერ მაინც ჩაიქცევა. დიდს ტანჯვაში არიან მგზავრნი. დიდი სამადლობელი საქმე იქნება, რომ ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს ადმინისტრაცია და მუდამ სოფლის ტანჯვაუბედურებას ერთჯერ გადააწყვეტინებდეს ამ ხიდის გაკეთებით.

ალ. მ—ანცი

⁂ **დ. ჩოხატაური** (გურია) **დახრჩობას გადარჩა.** ჩოხატაურს 1 ვერსის მოშორებით ჩაუვლის მდინარე სუფსა. 3 ამა ნოემბერს თავადი ანდრია მიხეილის ძე ერისთავი ცხენით მობრძანდებოდა თავის სასახლიდან დ. ჩოხატაურში. თან იახლნენ მახლობელი აზნაურები. როდესაც თავადი მდინარეში ჩაბრძანდა, წყალმა ცხენი წაუქცია. ამისმა მხლებელთაგანმა აზნ. ი. ვ. ჯღერიამ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, ცურვით მივიდა თავადთან და დახრჩობას გადაარჩინა.

⁂ **ქსნის ხეობა** (ქართ.) **სიმართლის მსხვერპლი.** სოფ. ზოდეხში მცხოვრებს სვიმონა, ზ. ბუნტურს რაც ჯვარი დაიწერა ეყოლა სამი ვაჟიშვილი. ჯვარის დაწერის დღი
დან დღემდე უსიამოვნება ჰქონდ
ცოლთან იჭვიანობის გამო სხვა-და
სხვა ჭორიკანა მეზობლების სიტყვი
აყოლით. ყველას ნათქვამი სჯერო
და, ყველას ენდობოდა. რაკი ერთ
ხელ ეჭვი ჩაინერგა გულში თავის
ცოლზე, მომეტებული დრო ცოლ
დარაჯათ ედგა. აგერ ჯვარის წერი
დან შესრულდა ხუთი წელიწადი დ
ერთხელ ჩანერგილი ეჭვი აღარ ამო
იფხვრა მის გულიდან. თანდათანო
ბით მოშურნე მეზობლობაც უძლი
ერებდა ეჭვს ცოლზე; თუმცა იჭვი
ანობის გამო, როგორც აღვნიშნე
ცოლს ადვილად არ შორდებოდ
მაგრამ სამუშაოზე მაინც უნდა ევ
ლო, რომ ცოლ-შვილი მშიერი არ
დაეხოცნა. ყოველ მოსვლის დრო
მას ესმოდა ახალ-ახალი ჭორი, მის
გან სრულ ჭეშმარიტებად ცნობილი
მუდამ დღე ამის გამო ალიაქოთ
ედგა ცოლ-შვილში. სხვათა შორი
ამ ბოლო ხანებშიაც გავიდა სვიმო
ნი ტყეში შეშის მოსატანად. სახლ
მოთი სახლში დაბრუნებულ სვიმო
ნას, დაქანცულს მუშაობით, სოფ
ლის ქუჩაზედ გამოვლის დროს შ
ჰხვდა მეზობლიანთ თინათინა, რო
მელმაც შეაყენებინა სვიმონს შეში
ურემი თავისებურის ჭორის ჩასაწვე
თებლად.

თინათინს მხარზე წყლის საზიდ
კოკა ედგა; ეგ იყო ისიც იქვე ახ
ლოს სახლში უნდა შებრუნებულ
ყო—შეეტანა წყალი საჭიროების
თვის, მაგრამ ენა მოლესილი ადამი
ანს შრომა სხვათა შორის აქვს გ
ჩენილი. თინათინი ცნობილი იყ
ამ სოფლად პირველ მეჭორედ დ
მეტ სახელად «ჩლაში ნაჯდომს» ეძ
ხდნენ.

— შენ, შენ უბედურო სვიმონ—
მიაძახა თინათინმა,—-კაცი-კი არ
დედაკაცი ხარ, ლეჩაქი უნდა გხუ
რებოდა.

სვიმონი ფოთოლივით შეირყ
იგრძნო—თინათინს რაზედაც უნდ
დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ იმ უეცა
მავს არ ელოდა, რაიც თინათინ
უთხრა:

—- დღეს შუადღისას—თავშეს
სწორებით განაგრძო მეჭორემ: შ
რომ შეშაზე წაველ, ჩვენებიან

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა

„ბედი მუხთალია“—სცენები 5 მოქმ. გლეხთა ცხოვრებიდან ეკატ. გაბაშვილისა და „**სამოცის წლის აშიკი**“—ვოდ. 1 მოქმ. ელისაბ. ჩერქეზიშვილისა.

II

საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ, მიუხედავად ჩვენის აწინდელის ძალა-უნებურის უფერულობისა, რომლის მიზეზი ზოგი თვით ჩვენი მოუმზადებლობაა, უფრო-კი გარეშე გარემოებაშიუნდა ვეძებოთ იმყოფება, ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას ოდნავი წარმატება თუ ეტყობა, სხვათა შორის, იმასაც უნდა მიეწეროს, რომ ამ ბოლო ხანებში მამაკაცებს მხარში ამოუდგნენ დედაკაცებიც სამოქმედოდ და სამოღვაწეოდ... დიახაც სასიხარულო და სანუგეშო მოვლენაა!

ჩვენებურმა ქალებმა საკმაოდ გამოიჩინეს თვით-ცნობიერება და, სრული იმედია, რომ დღევანდელი მცირე წრე მშრომელ და მომეცადინე ქალებისა შემდეგში გაასკეცდება, გამრავლდება და სერიოზ ძალ-ღონედ იქცევა ქვეყნისა და ერის სათვითმოქმედო არსებაში... ჩვენებური ქალებიც ეწევიან საერთო ჭაპანს საერთო კეთილ-დღეობისას: მუშაობენ მწერლობაში, ჟურნალ-გაზეთებში და სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებებში, სოფლად და ქალაქად მასწავლებლობენ და, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია—საკუთარის შრომით ირჩენენ თავს, მძიმე ტვირთად არ აწვანან ოჯახს, ქმარს და მშობლებს; ვიმეორებ, ამისთანები ჯერ მეტად მცირე გუნდს შეადგენენ, მაგრამ ყოველი საქმე პატარიდან იწყება, მერე თანდათან იზრდება და ძლიერდება. ეს ხანა ჩვენებურის ქალების თვით-მოქმედობისა პირველი ნაბიჯია.

ჩვენ გვყავნან ქალები პოეტები, არტისტები, მწერლები და სხვა. მართალია, მწერლობაში მომეტებული ნაწილი ჩვენებურის ქალებისა უფრო თარგმნას მისდევენ, მაგრამ ეგ მარტო ჩვენში-კი არა, სხვა ხალხებშიაც ასე იყო. დრამატიულს მწერლობაში ქალებიც არ ჩამორჩებიან კაცებს. კნ. ბარბარე ჯორჯაძისა (თავ. რ. ერისთავის დაჲ) პიესა «რას ვეძებდი და რა ვიპოვე» დიდხანს ატკბობდა საზოგადოებას; ქართულ თეატრის რეპერტუარში ბევრი პიესებია ქართველ ქალების მიერ ნათარგმნი. ან. თუმანიშვილისა, ეკ. ნიკოლაძისა მ. საფაროვისა და სხვანი სთარგმნიდნენ პიესებს. ამიტომაც, სრულებით გასაკვირი არ არის, რომ ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა ქალმა ეკ. გაბაშვილისამაც მოიწადინა თავისის წვლილის შემოტანა ქართულს რეპერტუარში.

რისამე დაფასება და აწონვა გადამეტებულის საწყაო ლიტერატურული ყაჩაღობაა. ჩვენის პატივცემულ მწერალ ქალის ნაწარმოები «ბედი მუხთალია» სრული პიესა როდია, იგი არც დრამაა, არც კომედიაა, იგი მხოლოდ სცენებია გლეხ-კაცების ცხოვრებიდან და ვითარცა,სცენებს, მას გარჩევაც ამ მხრივ უნდა.

სცენებად საზოგადოდ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი სურათები, რომელთაც საგნად აქვსთ ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენათა ხელოვნურად აღნიშვნა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გადმოღება. ასეთი სცენები შეიძლება თვითეული კერძოდ მშვენიერს და ხელოვნურს რასმე წარმოადგენდეს, ხოლო საერთოდ—მოკლებული იყოს აზრს და ერთიან სხეულს არ შეადგენდეს. მომეტებულ შემთხვევაში ასედაც არის: ყოველი სცენა, დრამატიული იქნება იგი, თუ სიტყვა-კაზმული,თავდა-პირველად მხოლოდ მასალაა; მაგრამ ამ მასალასაც დიდი შემუშავება უნდა, გემოვნებით არჩევა და ხელოვნურის ფერადებით დახატვა.

როდესაც ამ გვარ კერძო სცენებიდან, უკვე შემუშავებულებიდან, მწერალი თუ მხატვარი მოინდომებს პიესის, ანუ სურათის შექმნას, მაშინ მარტო უბრალო გადაკოწიწება ერთმანერთთან და აჩქარებით გადაბლანდვა არა კმარა. საჭიროა, შეკოწიწებულ სცენებს ერთს სრულ სხეულად რაიმე დედა-აზრი აერთებდეს, რათა მისი ზედგავლენა მნახველსა თუ მსმენელზე შედეგიანი და ნაყოფიერი იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთს შრომას არავითარი აზრი არა აქვს და თვით
წარმოებიც ფუჭია...

ამ მხრივ ჩვენის ნიჭიერ მწერ
ლის ქალის სცენები მეტად სუსტ
და მაყურებელზე არავითარს ზღ
გავლენას არ ახდენს.

„ბედი მუხთალია“-მ ჩვენ მოგ
გონა ჩვენის ნიჭიერის მწერლის
ლისვე მოთხრობა თურომანი „დი
ხევში“, ამ ხუთმეტიოდე წლის წ
ნედ დაწერილი, რომელმაც ს
ტიო ადგილი მოუპოვა ეკ. გაბაშ
ლისას ჩვენს მწერლობას რაზმში.

ეკ. გაბაშვილისა საყურადღებიანად ი
ვლება ჩვენს მწერლობაში სოფლის
და გლეხ-კაცობის ცხოვრების მცოდ
ნეთ.იმ თავიდან დღემდე მისი ნიჭიერ
კალამი გლეხ-კაცობის მოსარჩლე
ითვლება და უკანასკნელი მი
სცენები ამ მხრივ მეტად ორიგინ
ლი რამ არის. ჩვენს სცენაზე ჯ
ისეთი არა დადგმულა რა, რომ
ქმედ პირებად სულ გლეხ-კაცო
ყოფილიყო.

მომქმედ პირებში მარტო მოხ
კოა ხელოვნურად და სავსებით დ
ხასიათებული. მოსიკო ნამდვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტიკომ ხელთ იგდო დრო და შენს ცოლთან შევიდა. მაშინვე გავიქეცი თქვენს ბანზე, იქიდან ჩავცქეროდი დარბაზში, მინდოდა გამეგო—შენი ცოლი რამდენად ერთგულია შენის ოჯახისა. ღმერთო! რაც პეტიკომ იგი კოცნა, ვინ იცის!.. დედაშვილობამ სწორედ შემრცხვა, გამოვიქეცი... რა წამს პეტიკო გამოვიდა? დარბაზში შეველ. შენი ცოლი, ნაცარივით გაფითრებული დამხვდა რომ დაველაპარაკე ბავშვის საბანს დაუწყო შრობა, მითომ არ შემემჩნია. ის შერცხვენებული რათ არცხვენს შენს პატიოსან ოჯახს და სახელს!.. ს. ზოდეხში. «ჩალაში ნაჯდომის» ძაან გვეშინოდა ყველას ბევრჯელ იტყოდენ ხოლმე, მტერი და დუშმანი მას, ვისაც თინათინა გადაეკიდებაო. ბევრიც იყო გაუბედურებული მის ენისაგან და სხვათა-შორის, ნაამბობიდგან შევიტყობთ, რას დამართებს სვიმონას.

სვიმონამ რა მოისმინა ნაამბობი თინასი, ქვანაკრავივით გატრიალდა, დასძრა ურემი და გულდასიუბული მიადგა სახლის კარებს.: გამოუშვა კამეჩები შევიდა სახლში და ხმა ამოუღებლივ მიჯდა კერას, სველი წინდა ქალამნების გასაშრობლად.

მრავალ კითხვებზედ, რომლითაც ცოლმა მხიარულად მიჰმართა სვიმონას კრინტი არ დაუძრავს. ხოლო რამდენიმე საათის მდუმარების შემდეგ უთხრა, რომ ხვალ, თუ ამინდი იქმნა კარგი შევაბამ ურემს სამშობლოში წაგიყვან, რომ მოვისვენო, ჩემ ოხერ ლუკმას გემო ჩავატანოვო. ცოლის მუდარა, ფიცი სიმართლეზედ-ვაი-ვუი-ამაო იყო. იმ ღამეს ძილი ღმერთმა ჩვენ მტერს ნუ დაულიოს, რაც სვიმონას ჰქონდა. მეორე დღეს საიღბლოთ, თუ საუბედუროდ ავდრიანი შეიქნა. ცოლმა დაატყო ქმარს, რომ იგი თავისას არ იშლის, ისევ გასტუმრებას იმეორებს. ქმარი სამუშაოზედ წავიდა, ხოლო საღამოთი იმ დღეს მოსვლის დროს დიდი ტირილი და გლოვა დახვდა თავის სახლის კარზედ: სვიმონას ცოლს სახლის დერეფანში თოკზედ თავი ჩამოეხრჩო! მეზობლებს სახრჩობელიდგან გვამი ჩამოეღოთ და ზედვე დასტიროდნენ სიმართლის მსხვერპლს. ქმარმაც საკმაო ცრემლი დააბნია. ხოლო ამ სოფლად მადლიერი ამ გარამოებისა შეიქმნა ის ბოროტი, ვინც შექმნა უბედურება თავის ბედნიერებისათვის...

ცხრა-ძმელი

*** **ს. ველისციხე** (კახეთი). **საოცარი თავს-განწირვა და სიკვდილი.** ხომ საოცრების ქვეყნად მიგვაჩნია ამერიკა, მაგრამ ზოგიერთი ისეთი ამბებიცა ხდება ხოლმე კახეთში და განსაკუთრებით ველისციხეში, რომ ხშირად ამერიკელებიც-კი, სწორედ მოგახსენოთ, უკან ჩამოგვრჩებიან. აი ერთი ამისთანა მაგალითიც. ერთი გლეხის დედაკაცი ანნა გ—ისა შემთხვევით (და არა მოხუცებულობით) ორის თვალით დაბრმავდა. ამ სიბრმავესთან სახლში ცოტა უსიამოვნება ჰქონია მიყენებული რძლისაგან და რაკი დაინახა ასეთი თავისი უკიდურესი მდგომარეობა უსინათლოთ, განიწირა თავი, ე. ი. ორმოცი დღე არაფერი სვა-ჭამა და იქამდისინ მისუსტდა, რომ ამ თავის განწირვით სულიც განუტევა.

ჰამლეტი

*** **ს. ჩუმლაყი** (კახეთი). **მგლის ჩვეულების აღდგენა.** კარგა ხანია მას აქეთ, რაც ზოგიერთი უმართებულო შურისძიებისაგან წარმოდგენილი ჩვეულებები მიივიწყეს კახელებმა. მაგ., სახლების, გომ-საბძლისა, თივების ცეცხლის წაკიდება და აგრეთვე პირუტყვი საქონლის ხოცვაც-კი. ამ ჩვეულებების მივიწყება ჩვენ, კახელებს, საბოლოოდ გვეგონა, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა და ასეთმა უსაძაგლესმა შურისძიებამ კიდევ იჩინა თავი. ამ რამდენისამე ხნის წინად ჩუმლაყელ მ. შ—ლს ბოროტ-მოქმედთ დაუწვეს საბძელი, რომელშიაც შენახული ჰქონდა 10—12 ურემი ბზე და საბრალოს ამ ზამთარს საქონელი მშიერი უნდა ამოეხოცოს. საჭიროა თვითონ გლეხკაცობამ ალაგმოს ასეთი ყოვლად უზნეო და მავნებელი წევრები სოფლისა.

*** **სოფ. გორდი** (სამეგრელო). **ცუდი ამინდი.** აქ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებიდან განუწყვეტლად თოვს და ამინდის გასწორების ნიშანს ვერა ვხედავთ. ვაი თუ კინჩხა-გორდს ის დღე დაადგეს, რაც 1895 წელს დაადგა.

*** **ბათომი. ცეცხლში კაცის დაწვა.** 4 ნოემბერს, ღამით, ცეცხლი გაუჩნდა ვარშანიძისა და კონწელიძის სახლში თივის საწყობს; ცეცხლი მალე გაძლიერდა და მოედვა მეზობლად მედუქნეებს. დაიწვა 13 ქვის დუქანი. არც შენობა და არც საქონელი დაზღვეული არ იყო. მეორე დღეს ნანგრევებში ნახეს ერთის საბრალო კაცის ნახშირად ქცეული გვამი. საცოდავს, თურმე, სძინებოდა ცარიელს დუქანში, რომლის ყველა კარები ჩაკეტილი ჰქონოდა და ველარ გამოუსწრია გარედ. ვინ არის ეგ დამწვარი კაცი —ჯერაც არ იციან.

— **დაბალი ხარისხის სასტუმროების დათვალიერება.** ბათომის 1 განყოფილების პოლიციის ბოქაულმა დაათვალიერა ზოგიერთი დაბალი ხარისხის სასტუმროები და აღმოაჩინა, რომ იქ ბუდობდნენ ათამდე ზნე-გახრწნილნი ქალნი. პოლიციის განკარგულებით ეგ ქალნი ვაგზავნეს თავიანთ სამშობლოში და ერთი სასტუმროს პატრონთაგანი სამართალს მისცეს.

— **მეჯაგვეთა უკუღმართობის ნიმუში.** ქუჩებზე მეჯაგვეები ისეთის სისწრაფით დააქანებენ ხოლმე ცხენებს, რომ ხშირად ხდება უბედურება. მაგალითად, 5 ნოემბერს, ერთი მეჯაგვე ნავთ-სადგურთან დაეჯახა და გადაუარა ოთხის წლის ბავშვს. ბავშვი, რაღაც ბედზე, ცოცხალი გადარჩა. მეჯაგვე იქვე შეიპყრეს. ნეტა, როდის მოეღება ბოლო მეეტლეთა და მეჯაგვეთა თავგასულობას?

*** **ქ. განჯა.** ცვალ-ცვლილება. დადგა თუ არა ოქტომბერი, ბუნება ძრიელ შეიცვალა. ზამთრის სუსხმა მოულოდნელად დაჰკრა და ისეთი სიცივეები და ხანგრძლივი ავდრები დაიჭირა, რომ იანვარი მოგვაგონა. ასეთმა უეცარმა ცვლილებამ ბევრი სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა გააჩინა. განსაკუთრებით ციება დაერია აქაურებს. ციების მიზეზი აქ ჰაერის გარდა ხილიც არის. აქ ხილი ბევრი და იაფია, განსაკუთრებით ყურძენი და მდაბიო ხალხი ძალიან ეტანება. აქაურ რკინის გზის დეპოს და ძირ-ტკბილის ქარხნის მუშები დილაობით თუ სადილ-ვახშმათ მხოლოდ ყურძენსა და შავს პურს ჰყიდულობენ.

კ—ნე ნოდია

*** **დ. მარტვილი** (სამეგრელო). **თოვლის მოსვლა.** 31 ოქტომბერს აქედ გაუწყვეტელი თოვლი მოდიო. ასე ადრე თოვლს არავინ ელოდა და ხალხი სრულებით მოუმზადებელი დარჩა. შეშა საზამთროდ არავისა აქვს. არ ვიცით, რა გვეშველება.

— **ქურდობა.** ჩვენის ბოქაულის ბ-ნის ნ. დგებუაძის წყალობით ჩვენსკენ ქურდობა თითქმის მოისპო, ხალხი დიდად უმადლის მხნე ბოქაულს და ერთავად იმის ლოცვაშია, ღმერთმა უშველოს, ქურდ-ავაზაკებისაგან მოგვასვენა და თავისუფლად ამოვი სუნთქეთო.

მარტვილელი

*** **დ. ხონი** (იმერეთი). **საზარელი ავაზაკობა.** 1 ნოემბერს აქ ერთი საზარელი ავაზაკობა მოხდა. ღამის პირველი საათი იქნებოდა, რომ აქაურის მცხოვრების გლეხის ვლადიმერ რუსაძის სახლს 4 ავაზაკი დაესხა თავს. პირველად შესულან სამზარეულოში, სადაც წოლილან ავადმყოფი მამა რუსაძესი და მოსამსახურე. ბოროტ-მოქმედნი თავს დასდგომიან და უთქვამთ: «ჩქარა გვაჩვენეთ თქვენი ბატონის ცხენი, ფული და ოქრო-ვერცხლეულობა, თორემ ახლავე დაგხოცავთო». მოსამსახურეს შეჰშინებია და უთქვამს: „ცხენი ბოსტანშია დაბმული, ხოლო ფული და ოქრო-ვერცხლი ბატონსა აქვს შენახული, ის-კი არ ვიცი, სადაო». ამის შემდეგ ავაზაკები გარედ გამოსულან: ზოგი ცხენის საძებრად წასულა, ზოგი ოდისაკენ (სადაც თვითონ რუსაძე და მისი ცოლი წოლილან) ფულისა დ განძეულის გამოსატანად.

ამ დროს სამზარეულოში რუსაძის ავადმყოფს მამას დაუწყვია ყვირილი: «არიქა თავს უშველეთ, ავაზაკებმა არ მოგკლანო»!.. ორი ავაზაკი მაშინათვე უკან შემოტრიალებულან და ცემით კინაღამ მოუკლავთ საცოდავი მოხუცი. ცემა რომ ვერ აუტანია, მოხუცს უთქვამს: «ოღონდ ნუ მომკლავთ და არ ვიყვირებო.» ავაზაკებმა თავი დაანებეს მოხუცს და გარედ გავიდნენ ამხანაგების მისაშველებლად. მაშინ მოხუცს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დაუყვირნია. იმის ყვირილზე ოდაში მყოფი მძინარე ხალხი წამოშლილა და გარედ გამოვარდნილა. ამ დროს გავარდნილა დამბაჩა, სახლის პატრონს ვლ. რუსაძეს ბარძაყში მოხვედრია ტყვია და იქვე წაუქცევია. ამასობაში სხვებიც გამოვარდნილან გარედ, ავაზაკებს კიდევ ორი კაცი დაუჭრიათ: ერთი ათი წლის ბავშვი და ერთიც ქალი. ბავშვს ტყვია მოხვედრია ნიდაყვში, ბარძაყში, გვერდში, ხოლო ქალს ორივე ძუძუში და ყელში. ამ ამბავში გარეშე ხალხმაც მოიყარა თავი. ავაზაკებმა რომ დაინახეს, ჩვენი საქმე ცუდათააო, იკადრეს, თურმე, გაქცევა.

რა თქმა უნდა, მაშინათვე ბოქაულს შეატყობინეს ყველაფერი. ბოქაულს ორი იასაული დაუდევნებია. ამათ ერთი მეგრელი მოუყვანიათ, გვარად კიზირია. ამ კიზირიას უთქვამს: „მხოლოდ ის ვიცი, რომ ავაზაკები 4 იყვნენო, სხვა არაფერი ვიციო“.

მარტვილელი

*** **ს. ნაქალაქევი** (სამეგრელო) **ავაზაკების ბუნაგი.** ნაქალაქევში ერთს შ—აის დუქანი აქვს. თუ სადმე ყომარბაზი და ავაზაკია, ამ დუქანში იყრიან თავს და გათენებამდე ქაღალდის თამაშობით სულს ირ-

---

ჩვენებური გლეხია, რომელსაც, მიუხედავად მრავალ-გზის გამოვლილ ჭირ-ვარამისა, უსამართლობისა და გაჭირვებისა, ხშირად ენა მკვახე ლაპარაკი და დაჯღანვა იცის გულის სიღრმეში შერჩენილი აქვს მარგალიტი გრძნობა კაცთმოყვარეობისა, სათნოებისა, სამართლიანობისა. იგი ბუნებით ფილოსოფოსია და გულ-უბრყვილოდ აღიარებს: «მე ლაპარაკი მიყვარს და პავლესაც გამოულეველი სალაპარაკო ჰქონდაო»!.. მოსიკოს სიძის სიღარიბეც არ აშინებს, ოღონდ «კარგი ბიჭია იყოსო». თავის-თავზე აქვს გამოცდილი აუტანელი სიღარიბე, მაგრამ გამრჯე მაჯამ, რომელიც «რასაც-კი ხელს მოჰკიდებდა, ზეთს გამოადენდა» გაჭირებიდან გამოიყვანა და თან-და-თან წელში გამართა.

ქვრივი ტასიას დახასიათება ავტორს ვერ დაუმთავრებია, თუმცა ტასია მეტად საინტერესო ხასიათია ჩვენებურ სოფლის ცხოვრებაში. უხერხულად მიმაჩნია ტასიას მიერ შვილთან აღსარება „თავის ცოდოზე“ და შეუწყნარებლად კიდევ პავლესაგან ამ ცოდოთ თავმოწონება. მე არ ვიცი, იქნება ქალებს ეხერხებოდესთ ვაჟკაც შვილთან „ცოდოებისა და შეცდომებზე“ ბაასი, მაგრამ ნამდვილად შემიძლიან ვსთქვა, რომ არამც თუ პავლესთანა ვაჟკაცი, არამედ ყოვლად უბადრუკი ნაცარ-ქექიაც-კი ასეთის «ამბის» გაგებით სიამოვნებით კი არ გაოცდებოდა, როგორც პავლე, არამედ წყენით შეიკრავდა შუბლს და შეურაცყოფის და სირცხვილის ალმური დასწვავდა!..

პავლე ავტორის მიერ გაპატიოსნებული და გაკეთილშობილებურია, მაგრამ როგორღაც არ მჯერა და ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ მიმაჩნია ის პატიოსნება და ნამუსი, რომელიც პავლეს ბოდვის დროს წამოსცდება: «არა, არ შეიძლება, ჩემი შვილი, ჩემი პაწაწინა ივანემ უნდა იშვილოს»?.. მე მგონია, სოფელში უფრო მტკიცედ უნდა იყოს დაცული ნამუსი და პატიოსნება, ვიდრე ავტორი გვიხატავს და მაშინ ხომ მაროს და პავლეს... შვილს ქორწილამდე ადგილი არ უნდა ჰქონოდა. საზოგადოდ პავლე სოფლელს ცოტათ ჰგავს. იქნება ეგ ტასიას «ცოდოს» ბრალი იყოს ან „ბატონის სისხლის“ მიზეზი? მაშინ სხვაფრივ უნდა დაესურათებინა ავტორს თავისი გმირი.

უფრო მარტივად არის დახატული მარო, რომ ცოტათი მაინც სიმტკიცე მიეთვისებინა მისთვის ავტორს. საზოგადოდ, ავტორის აღწერით, სოფლად სიმტკიცე და ნამუსი მეტადრე ქალებს შორის, ნაკლებად უნდა იყოს, მე კი, პირიქით, მგონია, რომ სოფლად გლეხკაცობაში ნამუსი უფრო ბურჯიანია, ვიდრე ქალაქში.

დანარჩენი მომქმედი პირები, «ფოფოდიას» გარდა, მკრთალად არიან დასურათებულნი. საუკეთესო სცენად მიმაჩნია ნიშნობა, რომელიც მართლა დიდის ნიჭით და ხელოვნურის გემოვნებით არის აღბეჭდილი. დრამატიული მხარე სცენებისა ფსიხოლოგიურად განმარტებული და დასაბუთებული არ არის და ზოგან ალბიცაა...

ჩემის აზრით, პატივცემულ ავტორის სცენები ნიშნობაზე, რომ შესწყდეს ბევრად მოიგებდა და მართლა სცენები გამოვა, თორემ უფერული გაგრძელება სცენებს ხასიათსაც უკარგავს და დრამას ხომ არაფერში ემსგავსება. არ უხდება აგრეთვე სცენებს სათაურ-სახელიც.

სოფლის და გლეხ-კაცობის ცხოვრება უფრო ბევრს საინტერესო და საჭირ-ბოროტო კითხვების განმარტებას ელის ჩვენის მწერლებისაგან, ვიდრე პავლეს და მაროს სიყვარულს, და იმედი უნდა ვიქონიოთ, როგორც ჩვენი ნიჭიერი მწერალი ქალი, აგრეთვე სხვებიც მის მიმდევარნი ქალები თუ ვაჟები უფრო შესაფერის ყურადღებით დაუკვირდებიან ჩვენს სოფელს და ჩვენებურს გლეხ-კაცობას, რადგან დროთა ვითარების გამო, ჩვენი ძალა და იმედი სოფელშია და საბუთიანადაც იხრება იქითკენ ჩვენი თვით მოქმედების სასწორი..

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბედი მუხთალია“-მ ვერ მიაღწია თავისს საწადელს. დამსწრე საზოგადოებას იმის წარმოდგენიდამ ვერ გამოუტანია ვერც ზნეობრივი და ვერც გონებრივი შთაბეჭდილება და საზოგადოდ ის ზედგავლენა, რომლისათვისაც არსებობს ხოლმე თეატრი და საჯარო წარმოდგენა.

ერთად ერთი ძლიერი შთაბეჭდილება მხოლოდ ის იყო, როდესაც სცენაზე საყვარელ მწერალ ქალს საზოგადოებამ აღტაცებულის გრძნობა გონებით ზეზედგომელმა თავისი უდიდესი თანაგრძნობა და მადლობა გამოუცხადა, ვითარცა ძვირფასს და ნიჭიერს მოღვაწეს ეროვნულ კეთილ-დღეობისათვის...

ეს ისეთი საღი და მძლავრი შთაბეჭდილება იყო, რომელიც არასოდეს არ დაავიწყდება არც იქ დამსწრე საზოგადოებას და არც თვით ეკ. გაბაშვილისას! ასეთის ძლიერის ზედგავლენისა და შთაბეჭდილებისათვის ადვილად დაივიწყება ნაწარმოების სისუსტეც, რადგან ხალხი ეჩვევა დაფასებას და პატივის ცემას ნიჭისა და მოღვაწეობისას; ხსენებულისთანა შთაბეჭდილების ზედგავლენა საოცარია თავისის რთულის და საგულისხმიერო ნაყოფიერობით, გამამხნევებელის და გამაფხიზლებელის შედეგით!

ტასიაშვილი.

* * *

თმევენ. თუ ჩაიგდეს ვინმე ხამი და გამოუცდელი, ზედ არაფერს შეარჩენენ. ზოგს ხელობად გაუხდია ქაღალდის თამაშობა. სასურველია. ამ საეჭვო ხალხის ბუნაგს ყურადღებას მიაქცევდნენ, თორემ იმათი მაყურებელი სოფლის ხალხი, ლამის არის გაირყვნას.

მარტვილელი

⁂ **ს. ჯვარცმა.** (გურია). თოვლი. დადგა თუ არა ნოემბერი, სულ თოვლი მოდის. უკვე ერთი ალაბი თოვლი დასდო. სოფლელთა უმეტეს ნაწილს ყურძენი მოუკრეფელი ჰქონდა და სულ ერთიანად ძირს ჩამოჰყარა. ვინც სახლის გადახვეტა ვერ მოასწრო, თოვლმა ჩაუმტვრია. დიდად შეწუხებულნი არიან როგორც ჯვარცმელები, ისე სხვა სოფლების მკვიდრნი. არა აქვსთ შეშა, არა აქვსთ ჩალა საქონლის გამოსაკვებად. ასე მოუმზადებლად იმიტომ დარჩნენ, რომ თოვლს ჯერ არ თვემდე არ ელოდნენ.

ბ—ძე

⁂ **ს. თერჯოლა** (იმერეთი). უსკოლობა. სოფელი თერჯოლა მდებარეობს დ. ზესტაფონსა და ჩხარას შუა. ამ სოფელს ტურფა მიდამო აქვს. ბუნების მხრით დაჯილდოვებულმა თერჯოლამ საზოგადოდ მოსავალი კარგი იცის. სიმინდი, ღვინო, ბამბა, თუთუნი, ბოსტნეული და სხვა, რომელნიც უფრო ხშირად მოჰყავსთ აქაურ მცხოვრებლებთ, ღვთის მადლით, ძალიან კარგი იცის აქ. თერჯოლას ჰყოფს ორ ნაწილად პატარა მდინარე ჩხარა. შიგ ორი ეკკლესიაა: გაღმა—ქაშუკეთის და გამოღმა — გოვანთის ეკკლესიები უკანასკნელი შესანიშნავია უძველესის კედლებით, რომელზედაც, ამბობენ, უხსოვარ დროინდელი არისო. ამასაც ამბობენ, თამარის დროის ეკკლესიაო. მშვენიერს ადგილზედაცა სდგას. საეკკლესიო ადგილი წარმოადგენს კეკლუცად ამაღლებულ პაწაწკინტელა გორაკს, ირგვლივ მცენარეებით შეკრულს, გალავანში კი ვაკე მინდორია; გალავანს გარედ ირგვლივადვე იშლება ისევ მინდვრები და ბოლოვდება ვაკეებით და გარშემო სასოფლო შარებით. თერჯოლის მცხოვრებლები ყოველ გვარი წოდებისანი არიან...

თერჯოლას თუმცა ძრიელ ეახლოვება ქალაქები მაგრამ, სამწუხაროდ, აქითკენ განათლებას ერთი ნაპერწკალიც არ გადმოუსროლია. მიზეზები მცხოვრებლები, იმის მაგიერ, რო ეცადნენ, რამე შეიძინონ, ისწავლონ, ხალხში გაერნვნენ, ერთმანერთსა მტრობენ, სამარეს უთხრიან და ერთთავად ამას-ღა გაიძახიან: «ან მე და ან ისო». სკოლა ძალიან საჭიროა ჩვენის დაქვეითებულის სოფლისათვის. დიახ, უსკოლობა ძრიელ გვაღონებს!.. ბედისაგან დასჯილ სოფლის გლეხებს ვინა ჰყავსთ გულშემატკივარი, რომ ასე თუ ისე შთააგონოსთ მათ, როგორც უვიცებთ, რა არიან, ანუ რა მოელისთ. მაგრამ ვინ? მართალია, აქ არიან თავად-აზნაურნი, მაგრამ რა გამოვიდა, ისინი მარტო ამას გაიძახიან: «მე ვიყო და შენ არაო». როგორც ვიცით, უწმიდესმა სინოდმა კეთილ ინება დაბა-სოფლებში საეკკლესიო სკოლების დაარსება. სხვაგან კიდეცა ხსნიან ამ გვარს სკოლებსა, მაგრამ თერჯოლას ბედმა ვერ გაუღიმა აქამდე. სადიდებელ საქმედ ჩაეთვლება მამა მელიტონ კელენჯერიძეს, ქუთაისის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურეს ყურადღება მიაქციოს გამოღმა თერჯოლის გოვანთის ეკლესიას და როგორმე სკოლა დაგვიარსოს. აქ ადგილიც კარგია და მეურნეობაც შეიძლება ასწავლონ ბავშვებს, მართალია, გაღმა თერჯოლას აქვს შკოლა, მაგრამ ვერ მივხვდით რას ჩადის ეს სკოლა. ძნელად გამოსაცნობი გახლავსთ. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ გაღმა-გამოღმა სოფლის მკვიდრთა შორის წყალდიდობის დროს მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია ხოლმე. საკმარისია, მამა მელიტონ კელენჯერიძემ მხოლოდ ჩააგონოს ხალხს სკოლის მნიშვნელობა, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყველანი მხარს მისცემენ და რითაც-კი შეუძლიანთ, დაეხმარებიან სკოლის დაარსების საქმეში.

ილ. მხეიძე

⁂ **ს. ბოროწმინდა** (სამეგრელო) თოვლისაგან დაზარალებულნი. წარსულს წელს ს. ბორორწმინდას დიდი თოვლი იყო (ორი საჟენი) და რადგანაც ეს სოფელი კლდეების სიახლოვეს იყო, დაგორდა თოვლი სოფლისაკენ. დიდი ზარალი მოუვიდათ სოფლელებს: სამის გლეხის ოჯახობა მოისპო ისე, რომ პირუტყვებიც აღარ გადარჩენილან. ზარალი იყო სამის ათასის მანათისა. ამ შემთხვევას გადარჩა მხოლოდ ერთი ქალი ელისო კუხალაშვილისა შვიდის წვრილ-შვილით, ხოლო მოძრავი ქონება თოვლის ზვავმა მდ. ცხენისწყალს მისცა, უძრავი ორი ქცევა ადგილი-ღა დარჩათ, მაგრამ ამით რას გახდებიან! საჭიროა, ყურადღება მიაქციონ და ამ გაჭირვებულს ქვრივს შემწეობა აღმოუჩინონ. შემწირველთ შემდეგის ადრესით გამოგზავნონ თავიანთი წვლილი: м. Хони, черезъ Кинчхинское сельск. управленіе, Г. Х. Топуридзе.

დამსწრე

ქუთაისი. მადლობა შეწირულებისათვის. ბ-ნო რედაქტორო! ნება მობოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გამოვუცხადო უღრმესი მადლობა ქუთაისის ქართველ ნოქრებთ, რომელთაც შემოსწირეს ქართულ წიგნთსაცავს ეპისკოპოზის გაბრიელის სახელობაზე ათას ოთხასი წიგნი „სულ-მნათი გაბრიელის საუნჯე" გასასყიდათ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ.

ელენე ჯინოვისა

რედაქციისაგან

ზემოქმედში. ინჩინს. თქვენი წერილი ვერ დაიბეჭდება. ტყუილად ესარჩლებით იმათ, რომელთაც უკვე ღირსეული სასჯელი მოიპოვეს. საქმე ის-კი არ არის, კანონიერი იყო თუ უკანონო საზოგადოების განაჩენი; საქმე თვით მაგალითშია; ხოლო თუ იმათი გადასახლება არ დაუდგენიათ, მით უფრო უარესი საზოგადოებისა და თვით იმათთვისაც: ერთხელაც არის კოკა წყალზე გატყდებაო!

აბაშა. ბან-დონს. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ დავბეჭდავთ თქვენს უკანასკნელს წერილს „სახალხო პოეზიის" შესახებ.

ბათომი. ალ. ბე—ოვს. უკაცრავად, თქვენის წერილის აზრი ვერ გავიგეთ, ამიტომ ვერა ვბეჭდავთ.

ოზურგეთი. ვაკელს. ოზურგეთის თვით-მმართველობას გარდაწყვეტილი აქვს საჯარო ფეხის-ალაგი გააკეთოს ოზურგეთში. ეს ამბავი „ცნობის ფურცელ"-შიაც იყო დაბეჭდილი. ამიტომ თქვენს წერილს ვერა ვბეჭდავთ.

ზესტაფონში ქარ-ცეცხლს. სამწუხაროდ ვერ დავბეჭდავთ წერის სამაზრო მმართველობაში მომხდარ უზრდელობის მაგალითს.

წვრილი ამბავი

უეცარი გაჭაღარება. ერთს სიპაჰელს, ბენგალიიდამ აჯანყების დროს ტყვედ წამოყვანილს, შიშისა და ჯავრისაგან ნახევარს საათში, თურმე სულ გაუთეთრდა თმა. დედოფალი მარია ანტუანეტა სასჯელის წინა ღამეს სულ გაჭაღარავდა; ეგევე მოუვიდა ლიუდოვიკ სფორცს, როდესაც იგი ლიუდოვიკ მე-XII-მ შეიპყრო. ერთი მუშა ქ. იორკში, მაღალის სახლის სახურავიდამ გადმოვარდნილა და საწვიმარს მილს მოავლო ხელი და თავი შეიმაგრა მაგრამ საცოდავს შიშისაგან თმა სრულებით გაუჭაღარავდა იქვე. საზოგადოდ-კი თმა იმ ალაგას უფრო ადრე ჭაღარავდება თავზე, სადაც შეკრულია და დაჭერილი; მაგ. ერთს ქალს ეტლის ცხენები დაუფრთხნენ და გაიტაცეს. ქალს ეტლში თან პატარა ბავშვიც ჰყავდა და ხელი მიაფარა, რომ ეტლისთვის თავი არ მიეხლეჯებინა. ბავშვს სწორედ ის ადგილები დაუჭაღარავდა თავზე, სადაც დედას თითები ჰქონდა მოჭერილი.

შიშისაგან პირუტყვნიც ჭაღარავდებიან ხოლმე. ერთს შაშვს კატისა შეეშინდა, ჯერ სულ იცვალა თავისი ფერი და მერმე ახალი თეთრი ბუმბული და ფრთები ამოუვიდა.

განცხადებანი

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლულის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1894 წ.
ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა დ აფთიაქებში
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, წურინოვთან, გრივენკოთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.
(24—2)

საფქვავი
წისქვილები
მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში
МУКОМОЛЬНЫЯ
МЕЛЬНИЦЫ паровыя, водяныя, конноприводныя
изготовляетъ какъ спеціяльность
машино-строительный заводъ инженеровъ
Яралова и Алиханова
въ Тифлисъ, (100—71)
Александровская улица, собств. домъ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
Подписной годъ съ 1-го октября 1897 г. по 1-е октября 1898
на ежемѣсячный научно-литературный и политическій журналъ
НОВОЕ СЛОВО
Выходитъ ежемѣсячно отъ 25 до 30 печатныхъ листовъ.
Редакція «Новаго Слова», кромѣ общихъ задачъ научно-литературна журнала, ставитъ себѣ цѣлью освѣщеніе явленій жизни Россіи и сопостав ніе ея съ условіями и фактами жизни иностранной. Въ виду этого поми постоянныхъ отдѣловъ („Текущіе вопросы внутренней жизни", „Факты и циф изъ русской дѣйствительности", „Изъ жизни провинціи" и „Иностран обозрѣніе") въ журналѣ помѣщаются еще «Письма изъ провинціи» и Письма из за границы».
Будучи свободной отъ мѣстныхъ вліяній и воздѣйствій и придавая сер езное значеніе освѣщенію различныхъ явленій провинціальной жизни, реда ція «Новаго Слова» проситъ лицъ, сочувствующихъ цѣлямъ журнала, оказа ей содѣйствіе въ развитіи провинціальнаго отдѣла какъ доставкою фактическ го матеріала, такъ и присылкою корреспонденціи.
Редакція стремится давать въ библіографическомъ отдѣлѣ своевремен отзывы о вѣхъ выдающихся произведеніяхъ нашей литературы, и поэто обращаетсяссъ просьбой къ издателямъ о присылкѣ вновь выходящихъ издан
При но вомъ составѣ редакціи въ журналѣ принимаютъ участіе слѣд щія лица:
К. С. Баранцевичъ, проф. И. И. Боргманъ, С. Н. Булгаковъ, В. Быстренинъ, Ю. Н. Вагнеръ, В. Вересаевъ, проф. П. Г. Виноградовъ, В. Водовозовъ, Н. Гаринъ (Н. Г. Михайловскій), М. О. Гершензонъ, М. Горь (А. М. Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, К. Ельцова, А. М. Калмыкова, Л. Кржививцкій, проф. П. Ф. Лесгафтъ, Г. А. Мачтетъ, проф. П. Н. Милюко В. Г. Михайловскій, Вл. И. Немировичъ-Данченко, проф. Д. Н. Овсяни Куликовскій, А. В. Погожевъ, В. А. Поссе, И. Н. Потапенко, Д. Д. П топоповъ, В. Я. Свѣтловъ, М. Н. Семеновъ, П. Б. Струве, В. Л. Сѣрошевск М. И. Туганъ-Барановскій, Б. А. Фаусекъ, Максъ Ферворнъ (проф. Іенс го унив.), проф. Н. А. Холодковскій, Е. Н. Чириковъ, Т. Цигенъ (Th. S го унив.), проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская, О. А. Шапиръ, Ф. Ф. Эр hen, проф. Іенскаго унив.), А. С. Шабельская, О. А. Шапиръ, Ф. Ф. Эр манъ, А. И. Эртель, В. Я. Яковлевъ и др.
Подписной годъ съ 1-го октября.
Подписная цѣна съ пересылкой на годъ . . 10 р. — к.
,, ,, ,, на полгода . . 5 ,, — ,,
,, ,, ,, на три мѣсяца . 2 ,, 50 ,,
,, ,, безъ пересылки на годъ . . 9 ,, — ,,
,, ,, съ перес. за границу на годъ . . 12 ,, — ,,
Адресъ конторы редакціи: Спб. Спасская ул. (уг. Надеждинской), д. 15, кв.
Отдѣленія конторы: Въ С.-петербургѣ—1) Невскій пр., д. 54, «Библіот ка Черкесова», 2] Книжный складъ А. М. Калмыковой, Литейный пр. № 6
Въ Москвѣ: книжный магазинъ «Трудъ», Тверская, д. Спиридонова.
Книжные магазины, при полной годовой подписной платѣ, пользуютс уступкой 40 к. съ экземпляра. Подписка по частямъ года допускается тольк черезъ контору редакціи и ея отдѣленія.

Гостиница
„ЮЖНЫЕ НОМЕРА"
въ центрѣ города,
номера отъ 50 коп.
и дороже, обѣдъ
отъ 30 коп.

სასტუმრო და ბუფეტი
იუჟნი ნომრები
ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზე
ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.
სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურ ნაკლებ.

სასტუმრო არის ნაქები,
მორთული, როგორც ქალია,
მოყვასს მისს ხილვა უხარის,
მტერს-კი უდგება თვალია!

მობრძანდით ერთხელ, გაიგეთ,
ჩვენი რიგი და წესია:
სადილ-ვახშამი იაფი,
ნომრები უმეტესია!

მუდამ-ჟამს თევზი ცოცხალი
საჭმელ-სასმელი ტკბილია,
ამას არ სტყუის, თქვენმა მზემ,
აბრამიშვილი ილია!
(24—22)

სტამბა ქქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია